



MES 7 22 0000549118



27/05/2022

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 13 მაისს. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/82127345782?pwd=amJEZkFHZXpWaFc2NjFTL3lYNGtvUT09>

Meeting ID: 821 2734 5782

Passcode: 548411

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

თამაზ ბახტაძე - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კოორდინატორი (პროფესიული განათლების) (საბჭოს წევრი);

ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ კასპის კოლეჯი

დემეტრე დემეტრაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მარიამ აბელიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია

თინათინ მახარაძე - დირექტორი

კახა სოხაძე - პროგრამის განმხორციელებელი

მაკა შუბლაძე - პროგრამის განმხორციელებელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დავით მახვილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;

თამარ აფციაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული პროგრამების განყოფილების უფროსი;

თათა ფილიპიდის - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული პროგრამების განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ეკატერინე ნარეშელაშვილი - უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ლალი ხუნწარია - ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;

ქეთევან ქუთათელაძე - ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

თეიმურაზ ბულია - ენერგეტიკის ფაკულტეტის მენეჯერი;

მაია ჯიხვაძე - პროფესიული გადამზადების პროგრამის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მცირე მასშტაბიანი ბიომასის ბოილერების და ღუმელების მონტაჟი)“ ხელმძღვანელი;

ნათია ქსოვრელი - პროფესიული გადამზადების პროგრამის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (ზედაპირული გეოთერმული და თბური ტუმბოების სისტემების მონტაჟი)“ ხელმძღვანელი;

ევტიხი მაჭავარიანი - პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი, ენერგეტიკის ფაკულტეტის პროფესორი;

ლევან რობაქიძე - პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი, ენერგეტიკის ფაკულტეტის პროფესორი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 10:10 საათზე.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე მარიამ ქუჩულორია, სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით, სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა მარიკა ზაქარეიშვილი, ხოლო საბჭოს მდივნად, გიორგი გამყრელიძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

დღის წესრიგი:

1. სსიპ კასპის კოლეჯის „რეგიონალური ტურისტული მეგზური“ /01153/ პროფესიული გადამზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს შვეიცარული აგრარული სკოლა კავკასიისთვის „სურსათის უვნებლობის მენეჯერი“ /01322/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრი ლეპოტასთვის „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ /01099/ პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მცირე მასშტაბიანი ბიომასის ბოილერების და ღუმელების მონტაჟი)“ /01350/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (ზედაპირული გეოთერმული და თბური ტუმბოების სისტემების მონტაჟი)“ /01344/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის ქ. თბილისში „ფეხბურთის ინსტრუქტორი“ /01328/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
7. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის ქ. თბილისში „თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი“ /01327/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

8. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის ქ. ქუთაისში „თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი“ /01329/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხების წარმდგენებს სთხოვა, მოკლედ და ლაკონურად წარედგინათ პრეზენტაციები, ასევე აღნიშნა, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს მთავარ და ძირითად პრობლემურ საკითხებზე. სხდომის თავმჯდომარემ ისიც აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები იცნობენ მასალებს, დასკვნას და ამდენად, წარმდგენებს სთხოვა. მნიშვნელოვან ასპექტებზე ყურადღების გამახვილება

1. სსიპ კასპის კოლეჯის „რეგიონალური ტურისტული მეგზური“ /01153/ პროფესიული გადამზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ქეთევან ჯანელიძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის 2022 წლის 13 აპრილის N 381662 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ნინო სტეფანიშვილმა და დარგის ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ განახორციელეს ვიზიტი სსიპ კასპის კოლეჯის პროფესიული გადამზადების პროგრამის - „რეგიონალური ტურისტული მეგზური“ მთავრობის №131 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დანართთან, ამავე მუხლის მეორე პუნქტთან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2022 წლის 18 აპრილს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კასპის კოლეჯში, (აღმაშენებლის ქ. №168 ვ). მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენდა აღნიშნულ პროგრამაში სწავლის შედეგის დამატება, შესაბამისად პროგრამის საათების გაზრდა.

ვიზიტის დროს განხორციელდა პროგრამის განხილვა, მატერიალური და სასწავლო გარემოს დათვალიერება, გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პროგრამის კურსდამთვრებულებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. მოხდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა/შესწავლა და სხვა.

მან აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

გაიცა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა 3.2 ქვესტანდარტს. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამის „რეგიონალური ტურისტული მეგზური“ დაშვების წინაპირობა არის ინგლისური ენის B2 დონე, დაწესებულებამ უზრუნველყოს B2 დონის დადასტურება არამხოლოდ გასაუბრებით, არამედ დოკუმენტირებულადაც (იხ. ქვესტანდარტის აღწერა).

მოკლევადიან გადამზადების პროგრამაზე „რეგიონალური ტურისტული მეგზური“ დარეგისტრირდა 24 აპლიკანტი. მისაღები ადგილების მაქსიმალური რაოდენობა 15 იყო.

დარეგისტრირებული აპლიკანტებიდან გასაუბრებაზე გამოცხადდა 14 აპლიკანტი, ხოლო არ გამოცხადდა 11. გამოცხადებული აპლიკანტებიდან გასაუბრების გზით ჩაირიცხა 12 მსმენელი. გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული აპლიკანტები ყველაზე მეტად აკმაყოფილებდნენ შეფასების კრიტერიუმებს. ყველა მათგანი დაინტერესებულია რეგიონალური ტურისტული მეგზურის პროგრამით და გამოხატავს პროგრამაში ჩართვის სურვილს. ორი აპლიკანტის შემთხვევაში ინგლისური ენის მოთხოვნა ვერ იქნა დაკმაყოფილებული. 10-მა მსმენელმა წარმატებით დაასრულა პროგრამით გათვალისწინებული ექვსივე სწავლის შედეგი, ხოლო ორს შეუწყდა სტატუსი პროგრამაზე არასაკმარისი დასწრების და განმსაზღვრელ გამოცდებზე გამოუცხადებლობის გამო.

ვიზიტის დროს შემოწმდა გასაუბრების ოქმები, ჩარიცხვის ბრძანებები, შედგა გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან, პროგრამის კურსდამთავრებულებთან. შემოწმების და გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ მსმენელთა შერჩევის პროცედურები გამჭვირვალეა და შესაბამისობაშია პროფესიული გადამზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან.

პროფესიული გადამზადების პროგრამის „რეგიონალური ტურისტული მეგზური“ დაშვების წინაპირობა არის ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე. აღსანიშნავია, რომ აპლიკანტებს გასაუბრების დღეს გასაუბრებამდე გარკვეული დროით ადრე ელ ფოსტაზე გადაეგზავნათ ტურისტული ღირშესანიშნაობის დასახელება, რომელზეც გასაუბრების ფარგლებში ისაუბრეს ინგლისურად, აგრეთვე გასაუბრების დროს აპლიკანტებს ინგლისურ ენაზე დამატებითი შეკითხვები დაესვათ ინგლისური ენის B2 დონის დადასტურების მიზნით. დაწესებულებამ ზემოაღნიშნული ქმედებით მოახდინა B2 დონის დადასტურება.

დარგის ექსპერტი შეეხო სწავლის შედეგებს, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა დარგის ექსპერტის რეკომენდაციები სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. კერძოდ, პროგრამას დაემატა მეოთხე სწავლის შედეგად - სარეკლამო არხების მიწოდება ინდუსტრიაში და დასძინა, რომ წარმოდგენილი სწავლის შედეგები მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს.

დარგის ექსპერტი შეეხო პროგრამის ხანგრძლივობის საკითხს, მან აღნიშნა, რომ სწავლის შედეგის დამატებამ გამოიწვია პროგრამის ხანგრძლივობის ათ კვირამდე გაზრდაც. თუმცა საათების რაოდენობა არ შეცვლილა.

ვიზიტის დროს განხორციელდა ინტერვიუება მსმენელებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებები ნამდვილად გათვალისწინებული იყო. რაც შეეხება პროგრამის განმახორციელებლებს, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დაამატე ერთი განმახორციელებელი პირი პროგრამის მდგრადობის მიზნით.

გარდა ამისა, დაწესებულებამ დაამატა 20 მსმენელზე გათვლილი B გარემო, აღჭურვილი ყველანაირი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. თუმცა დაწესებულებას ჰქონდა ამ პროგრამისთვის განსაზღვრული 15 მსმენელზე გათვლილი A/C გარემო.

ქეთევან ჯანელიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის უფლების მოპოვების დროს ვიზიტი განხორციელდა ონლაინ ფორმატში და ვერ მოხერხდა სრულყოფილად დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერება, თუმცა ამ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები დეტალურად გაეცნენ სასწავლო გარემოებს, ბიბლიოთეკას. დარგის ექსპერტი თავის პრეზენტაციაში შეეხო ასევე სხვა ქვესტანდარტებს და დეტალურად განიხილა.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ კომენტარი გააკეთა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული საბჭო პროგრამის მონიტორინგის საკითხს პირველად განიხილავდა. რამდენადაც გასული წლის ივლისში ცვლილება შევიდა №131 დადგენილებაში, რომლის საფუძველზეც დაწესებულებებს გაუჩნდათ ვალდებულება რომ პროგრამის განხორციელებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება უნდა ეცნობის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ამის შემდეგ ცენტრი წყვეტს მონიტორინგის განხორციელების საკითხს, რომელიც ამ

ეტაპზე უფასოა. მონიტორინგის შედეგების მოსმენის პირველი შემთხვევა იყო ვიზიტი სსიპ კასპის კოლეჯში. ამ პროცესში ჩართული იყო პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი. ქალბატონმა ნანიმ აღნიშნა, რომ ისინი უკვე მთლიანობაში განიხილავენ ამ პროგრამებს, როგორც მომზადება-გადამზადებას, ასევე გრძელვადიანი პროგრამის მონიტორინგის თვალსაზრისით. მან კმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ის ქვესტანდარტები, რომლებიც არ იყო დაკმაყოფილებული წინა შეფასებისას, გასწორებული იყო. მან აქვე აღნიშნა, რომ რადგანაც იცვლება პროგრამის ხანგრძლივობა, საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პროგრამის პარამეტრებშიც შევა ცვლილება. აღნიშნული საინტერესო საკითხია, თუმცა სამომავლოდ საბჭოს რამდენიმე ასეთი საკითხის მოსმენა მოუწევს, რადგანაც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დაგეგმილია მონიტორინგები მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების შესაფასებლად. მან ექსპერტს მადლობა გაუხადა გაწეული შრომისა და კარგად წარდგენილი პრეზენტაციისთვის, ასევე მადლობა გადაუხადა მონიტორინგის კოორდინატორს ნინო სტეფანიშვილს. დასასრულს, მან აღნიშნა რომ ხარისხი დაწესებულებაში ნიშნავს ყველა დაწესებულებისადმი ერთნაირ მიდგომას და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ერთნაირ ფუნქციონირებას ყველა დონის პროგრამებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ დააფიქსირა, რომ დაწესებულებას შეეძლო მოეთხოვა ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაზეც დარგის ექსპერტმა აღნიშნა რომ, აღნიშნულის შესახებაც ჰქონდათ დაწესებულებაში მსჯელობა.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე დაამატა, რომ ენის კომპეტენცია ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო ენის ტესტები საკმაოდ სტანდარტიზებულია, რის შემდეგაც, საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კასპის კოლეჯის „რეგიონალური ტურისტული მეგზური“ /01153/ პროფესიული გადამზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: დარგის ექსპერტის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კასპის კოლეჯში (ს/კ: 205405480) „რეგიონალური ტურისტული მეგზურის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით და ცვლილება განხორციელდეს სსიპ კასპის კოლეჯისთვის “რეგიონალური ტურისტული მეგზური“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 17 აგვისტოს №799908 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**).

მეორე საკითხის დაწყებამდე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი თორნიკე ჯობავა.

2. შპს შვეიცარული აგრარული სკოლა კავკასიისთვის „სურსათის უვნებლობის მენეჯერი“ /01322/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს სხდომაზე საკითხი წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 19 აპრილის №404907 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა გენადი კვერენჩილაძემ შეისწავლეს პროფესიული გადამზადების პროგრამის „სურსათის უვნებლობის მენეჯერი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2022 წლის 28 აპრილს განახორციელეს ვიზიტი შპს შვეიცარულ აგრარულ სკოლა კავკასიაში (დმანისი, სოფ. სარკინეთი). ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

მაყვალა დარსანიამ პრეზენტაციაში აქცენტი გააკეთა გამოვლენილი ხარვეზებისა და გაცემული რეკომენდაციების შესახებ.

გამოვლენილი ხარვეზები

ქვესტანდარტი 1.1 - ელ. სისტემაში პროგრამის საჭიროების დასაბუთების ველში ატვირთული ტექსტიდან არ იკვეთება პროფესიული გადამზადების პროგრამის საჭიროება, ვინაიდან დოკუმენტში არ არის ასახული თუ რა კვლევებზე დაყრდნობით მიიღო დაწესებულებამ გადაწყვეტილება წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების შესახებ. 1.1 ქვესტანდარტის მიხედვით „ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება თუ დაწესებულება წარმოადგენს ამ მტკიცებულებებიდან ერთ-ერთს: ანალიზის დოკუმენტს, ბაზრის კვლევას, ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზს (დამსაქმებელი, დასაქმებული)“. თუმცა დაწესებულებას ასეთი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, აქედან გამომდინარე ქვესტანდარტი 1.1. პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/ მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს დარღვეულია.

ქვესტანდარტი 1.2 - სურსათის უვნებლობის მართვის სისტემა ნედლეულთან, პროდუქტთან, მომსახურე პერსონალთან და საწარმოო პროცესებთან დაკავშირებული იმ ფაქტორების კონტროლს გულისხმობს, რომლებმაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს საბოლოო პროდუქტის უვნებლობა. სურსათთან დაკავშირებული საფრთხეები სურსათის საწარმოო ჯაჭვის ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება წარმოიშვას და, შესაბამისად, გავლენა იქონიოს საბოლოო პროდუქტის უვნებლობაზე. ამიტომ სურსათის უვნებლობისადმი ინტეგრირებული მიდგომა მნიშვნელოვანია, სურსათის უვნებლობის კუთხით სამი სახის საფრთხე არსებობს: ბიოლოგიური, ქიმიური, და ფიზიკური. სხვადასხვა პროდუქტი თითოეული სახის დაბინძურების სხვადასხვა მაჩვენებლით ხასიათდება, რაც მისი სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

სურსათის უვნებლობის საფრთხეები შეიძლება იყოს ბიოლოგიური, ქიმიური, ზოონოზური დაავადებების გამომწვევი პროდუქტის სახეობების მიხედვით, მაგ. რძე და რძის პროდუქტები, ხორცი და ხორც-პროდუქტები, კვერცხი, ფქვილი და პურ-ფუნთუშეული, სხვადასხვა სახეობის კონსერვები, თუმცა წარმოდგენილი პროგრამა დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს რძისა

და რძის პროდუქტების, ხორცისა და ხორცპროდუქტების უვნებლობის კუთხით. ორგანიზაციას საკუთრებაში აქვს რძის ქარხანა, ფერმა და ასევე წარმოდგენილია მემორანდუმი შპს „ლაშარელასთან“ (სასაკლავო).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით პროგრამის სახელწოდება არ შეესაბამება პროგრამის შინაარსს: არის უფრო ფართო სპექტრის. შინაარსობრივად, პროგრამა უზრუნველყოფს სპეციალისტის მომზადებას რძისა და რძის პროდუქტების, ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოების მიმართულებით. ამიტომ სასურველია დაწესებულებამ სახელწოდებაში დააკონკრეტოს, რომ ეს პროგრამა კონკრეტულად რძის და რძის პროდუქტების, ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოებასა და გადამამუშავებას ეხება.

ქვესტანდარტი 1.4 - პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: უმაღლესი/პროფესიული განათლება სასურსათო ტექნოლოგიების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ვეტერინარიის, სურსათის უვნებლობის, ქიმიის, ბიოლოგიისა და მომიჯნავე სპეციალობებში ან პრაქტიკული გამოცდილება სურსათის პირველადი წარმოების, წარმოების ან გადამამუშავების მიმართულებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ჩამოყალიბდეს ასეთი სახით: ბაკალავრის ხარისხი სასურსათო ტექნოლოგიების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ვეტერინარიის, სურსათის უვნებლობის, ქიმიის, ბიოლოგიისა და მომიჯნავე სპეციალობებში, პროფესიული განათლება ფერმერობაში, რძის პროდუქტების წარმოებაში, ვეტერინარიაში ან პრაქტიკული გამოცდილება სურსათის პირველადი წარმოების, წარმოებისა და გადამამუშავების მიმართულებით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატური არ არის და ვერ უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.

ქვესტანდარტი 1.9 - პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-6 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად „პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ მეწარმე სუბიექტთან ან სახელმწიფო ორგანოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანამშრომლობის ფორმატის შესახებ, მათ შორის, რესურსების გამოყენების შესახებ, არანაკლებ პროგრამის განხორციელების ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად თავად ფლობს შესაბამის რესურსს. თუმცა როგორც აღინიშნა დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მემორანდუმი. წარმოდგენილი მემორანდუმი ვერ ასახავს იმ მოთხოვნებს, რომელიც უნდა იყოს ასახული საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-6 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის მიხედვით. დაწესებულებამ უნდა გააფორმოს ხელშეკრულება შპს „ლაშარელასთან“. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ქვესტანდარტი დარღვეულია.

ქვესტანდარტი 1.10 - წარმოდგენილ პროგრამაში არ ფიქსირდება, თუ როდის განხორციელდება მსმენელების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, თუმცა ვიზიტის დროს ზეპირი კომუნიკაციით პროგრამის განმახორციელებელმა პირმა აღნიშნა, რომ განმსაზღვრელი შეფასება დაგეგმილია სწავლების ბოლო კვირას, რაც პროგრამის დოკუმენტიდან არ დასტურდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მსმენელის შეფასების სისტემა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

ვიზიტის დროს გაიცა რეკომენდაციები:

ქვესტანდარტი 1.6 - წარმოდგენილი პროგრამის თემატიკის ნაწილში სწავლის შედეგი - „ბიზნესოპერატორის პასუხისმგებლობის გაცნობა“ არ ფიქსირდება, ეს შედეგი თემატიკის სახით წარმოდგენილია მე-8 კვირას. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია მოყვანილ იქნას

შესაბამისობაში სწავლის შედეგები თემატიკასთან. რეკომენდებულია დაწესებულებამ თავის რეგულაციებში და განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გამოიყენონ ტერმინოლოგია: მსმენელი, პროგრამის განმახორციელებელი პირი, და არა სტუდენტი, პროფესიული გადამზადების მასწავლებელი.

თავის პრეზენტაციაში ცენტრის წარმომადგენელი ასევე შეეხო სხვა ქვესტანდარტებს. მან აღნიშნა, რომ დანარჩენი ქვესტანდარტები არ იყო დარღვეული, მან პრეზენტაციაში წარმოადგინა ასევე დაწესებულების სასწავლო გარემოების, ბიბლიოთეკის, რძის ქარხნის, ფერმის ფოტოები.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს კოლეჯი ყველასათვის საამაყო დაწესებულებას წარმოადგენდა და მისი ინფრასტრუქტურა კარგად იყო მოწყობილი. თუმცა დასძინა, რომ რამდენიმე კითხვა მაინც ჰქონდა დარგის ექსპერტთან. კერძოდ, მას აინტერესებდა ის ძირითადი საკითხები, რაზეც უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება ამ პროგრამაში მისი სრულყოფისთვის, ამასთან ამხელა რესურსების პირობებში რამდენად აქტუალურია რომ კიდევ პარტნიორი სჭირდებოდეს ორგანიზაციას.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ასახული ხარვეზები გამოსწორებადია დაწესებულების სტრატეგიიდან და პოლიტიკიდან გამომდინარე. მან დასძინა, რომ ვიზიტისას გაირკვა რომ გარკვეული საკითხები დაწესებულებას დოკუმენტაციაში არ ჰქონდა ასახული. კერძოდ, მათ მოკვლევაც ქონდათ ჩატარებული, იქიდან გამომდინარე რომ რეგიონი ძალიან მნიშვნელოვანია იმ სპეციფიკით რა სპეციფიკითაც დღესდღეობით ორგანიზაცია მუშაობს. ამასთან წარმოდგენილი იყო მეცხოველეობის ფერმაც, საწარმოც. რაც შეეხება პროგრამის სახელწოდებას, სახელწოდებასთან დაკავშირებით კითხვის ნიშანი გააჩინა შემდეგმა გარემოებებმა: დაწესებულების ფუნქციონირებიდან და იმ პროგრამებიდან გამომდინარე, რომელსაც ახორციელებს, საწარმოო ბაზიდან რაც დააჩნია, ლაშარელასთან (სასაკლავოსთან) გაფორმებული ხელშეკრულებიდან, ამასთან გამოყენებული სწავლის მეთოდების გათვალისწინებით პროგრამის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით ჰქონდათ რეკომენდაცია, რაზეც ვიზიტის დროს თანხმობა წამოვიდა დაწესებულებიდან. მან დასძინა, რომ ხელშეკრულების საკითხის მოგვარება ტექნიკური მხარეა, მხოლოდ ხელშეკრულების შემუშავებაა საჭირო. რაც შეეხება სასაკლავოსთან დაკავშირებულ დამატებითი პარტნიორობის საკითხს, მთლიანი სისტემური სურათის გათვალისწინებით არ საჭიროებდა ამ ხელშეკრულებას. მთლიანობაში, დარგის ექსპერტი მიესალმება წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებას.

ამის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა პროგრამის შინაარსის მის სახელწოდებასთან შესაბამისობის საკითხს. ამასთან, აღნიშნა რომ გაცემული რეკომენდაციები ნამდვილად სწორად იყო ფორმულირებული. სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულებას სთხოვა გამოეთქვა თავისი აზრი ხარვეზებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა დაწესებულების დირექტორმა თინათინ მახარაძემ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის პირველი შემთხვევა იყო მომზადება-გადამზადების პროგრამის განხორციელების დაგეგმვა. ამდენად, სრულად იზიარებდნენ მიღებულ შენიშვნებს და რეკომენდაციებს. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ სახელწოდების შესახებ გაკეთებულ კომენტარებსაც ეთანხმებოდა, იქიდან გამომდინარე რომ პროფილიდან გამომდინარე, ესაა რძის და ხორცპროდუქტების მიმართულება რაც უნდა იყოს ასახული სახელწოდებაშიც. ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ბაზრის კვლევა დასაწყისშივე აქვთ ჩატარებული. ასევე მუდმივი კომუნიკაცია აქვთ ფერმერებთან და რძის გადამამუშავებელ დაწესებულებებთან. აღნიშნულის შესახებ არ ჰქონდათ წარმოდგენილი დოკუმენტი, რისი წარმოდგენაც მათ შეუძლიათ. დასასრულს, მან მზაობა გამოთქვა მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ და იმედი გამოთქვა რომ რეგიონისთვის ასეთი მნიშვნელოვანი პროგრამის დანერგვის შესაძლებლობა მიეცემოდათ.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ მესხიშვილმა აღნიშნა, რომ იზიარებდა დაფიქსირებულ ხარვეზებს და რეკომენდაციებს და კოლეჯის მიერ რეკომენდაციების გათვალისწინების მზაობა დადებითად შეაფასა. მან დასძინა, რომ ჰქონდა მოლოდინი იმისა, რომ სხვა პროგრამებსაც შემოიტანდა დაწესებულება და მოხდებოდა მეტი საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა აგრარულ სივრცეში. ნიკოლოზ მესხიშვილის პოზიციას შეუერთდა ნანი დალაქიშვილიც. მან ცენტრის მხრიდან მხარდაჭერა გამოხატა კოლეჯის მიმართ, ასევე დიდი ნდობა გამოხატა კოლეჯის მენეჯმენტის მიმართ და კოლეჯის დირექტორის ქალბატონი თინათინის კომპეტენტურობას გაუსვა ხაზი. დაამატა, რომ კოლეჯს ტექნიკური შეცდომების გამოსასწორებლად შანსი უნდა მისცემოდა, რაზეც სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მათი პოზიცია თანხვედრაში იყო. ქალბატონმა ნანიმ აღნიშნა, რომ ყველაფრის მიუხედავად სრულყოფილად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული კოლეჯი, თუმცა მათ თავის დასამკვიდრებლად დრო სჭირდებათ. ამასთან, მათ მეტი კურსდამთავრებული სჭირდებათ როგორც საკვალიფიკაციო პროგრამებზე ისე მომზადება-გადამზადების პროგრამებზე.

თავიანთი აზრი გამოხატეს პროგრამის განმახორციელებლებმა მაკა შუბლაძემ და კახა სოხაძემ. მაკა შუბლაძემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს რეკომენდაციებთან დაკავშირებით და დასძინა, რომ ეთანხმებოდნენ გაცემულ რეკომენდაციებს. ერთადერთი, რაზეც კომენტარის გაკეთება სურდათ, ეს პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას ეხებოდა. შემდეგ კახა სოხაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, და აღნიშნა, რომ მათი არგუმენტები პროგრამის სახელთან დაკავშირებით სპეციალობიდან გამომდინარე სუბიექტურია. მან განმარტა, რომ ასეთი პროგრამის შემუშავება პირველი მცდელობა იყო და რა თქმა უნდა უხარვეზო ვერ იქნებოდა, დაეთანხმა ყველა რეკომენდაციას, რაც დარგის ექსპერტის მიერ იყო გაცემული და მოიყვანა არგუმენტაცია სახელწოდებასთან დაკავშირებით.

მან აღნიშნა, რომ სურსათის უვნებლობა მულტიდისციპლინური დარგია, რომელიც გულისხმობს საფრთხეების პრევენციას და კონტროლს, სურსათთან დაკავშირებული საფრთხეები სურსათის საწარმოო ჯაჭვის ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება წარმოიშვას და, შესაბამისად, გავლენა იქონიოს საბოლოო პროდუქტის უვნებლობაზე. ამიტომ სურსათის უვნებლობისადმი ინტეგრირებული მიდგომა მნიშვნელოვანია, სურსათის უვნებლობის კუთხით სამი სახის საფრთხე არსებობს: ბიოლოგიური, ქიმიური, და ფიზიკური. სხვადასხვა პროდუქტი თითოეული სახის დაბინძურების სხვადასხვა მაჩვენებლით ხასიათდება, რაც მისი სპეციფიკიდან გამომდინარეობს. სურსათის უვნებლობის საფრთხეები შეიძლება იყოს ბიოლოგიური, ქიმიური, ზოონოზური დაავადებების გამომწვევი პროდუქტის სახეობების მიხედვით, მაგ. რძე და რძის პროდუქტები, ხორცი და ხორც-პროდუქტები, კვერცხი, ფქვილი და პურ-ფუნთოშეული, სხვადასხვა სახეობის კონსერვები, თუმცა მიდგომა ყველა შემთხვევაში ერთნაირია, რა თქმა უნდა მცირედი განსხვავების გამოკლებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა პროგრამის განმახორციელებელ პირებს, თხოვა რომ დარგის სიღრმეებში არ შესულიყვნენ და თუ დაწესებულებას მიეცემოდა საბჭოს გადაწყვეტილებით ხარვეზების გამოსწორების ვადა, აუცილებლად გაეთვალისწინებინათ დარგის ექსპერტის რეკომენდაციები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შვეიცარული აგრარული სკოლა კავკასიისთვის „სურსათის უვნებლობის მენეჯერი“ /01322/ პროფესიული გადამზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს შვეიცარულ აგრარულ სკოლა კავკასიას (ს/კ: 404550525) განესაზღვროს ვადა პროფესიული გადამზადების პროგრამის - სურსათის უვნებლობის მენეჯერი /01322/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრი ლეპოტასთვის „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ /01099/ პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ. მან მოკლედ და ამომწურავად ისაუბრა მისი და დარგის ექსპერტის ანა მუშეგიანის მიერ 2022 წლის 1 მარტის ვიზიტისას შესწავლილი ცენტრის პროფესიული პროგრამის „ესთეტიკური კოსმეტოლოგიის“ შესახებ. ვიზიტის დროს განხორციელდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებისა და პროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხების შემოწმება. შემოწმების დროს არ გამოვლენილა ხარვეზები. სპეციალისტების მიერ გაცემული ერთადერთი რეკომენდაცია კურსდამთავრებულთა სახელზე სერტიფიკატებისა და სერთიფიკატის დანართების საკითხს ეხებოდა.

ქვესტანდარტი 3.7 - რეკომენდირებულია პროგრამის კურსდამთავრებულებზე შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში გაიცეს სერტიფიკატი და სერთიფიკატის დანართი.

მან დასძინა, რომ იურიდიულმა პირმა შეიმუშავა სერტიფიკატის ფორმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომელიც შეთანხმებულია ენობრივ სისწორეზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, ასევე მინიჭებული აქვს შესაბამისი კოდი ეკონომიკის სამინისტროს მიერ.

ასევე შემუშავებულია სერტიფიკატის გაცემის წესი და სერტიფიკატის სარეგისტრაციო ჟურნალი მოთხოვნათა დაცვით (ზონარგაყრილი, დანომრილი და ბეჭედდასმული).

სერტიფიკატები დაბეჭდილია, თუმცა არ არის გადაცემული კურსდამთავრებულებზე. ასევე ვიზიტის დროს ჯერ არ იყო მომზადებული სერტიფიკატის დანართები.

ლანა გაჩეჩილაძემ თავის პრეზენტაციაში წარმოადგინა სტანდარტების/ქვესტანდარტების შეფასება.

მან აღნიშნა, რომ პროგრამა სრულად ხორციელდებოდა ქ. თბილისში, თინა იოსებიძის ქ №57-ში და განხორციელებაში ჩართული იყო 4 განმახორციელებელი პირი.

იურიდიულ პირს სურს გაზარდოს მსმენელთა რაოდენობა, როგორც ძირითად ადგილზე ასევე, პროგრამაში ჩართოს დამატებითი პრაქტიკის ობიექტები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ მიზნით ორგანიზაციამ დაამატა 6 განმახორციელებელი პირი. დაწესებულებამ წარმოადგინა მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები. აღსანიშნავია, რომ ახალი

განმახორციელებელი პირებიდან 2 პირი არის ორგანიზაციის იმავე პროგრამის წარმატებული კურსდამთავრებული. შედეგა გასაუბრება დამატებით წარმოდგენილ ყველა განმახორციელებელ პირთან და დადასტურდა მათი კვალიფიციურობა. ერთ-ერთი განმახორციელებელ პირად წარმოდგენილია უკრაინის მოქალაქე, ამდენად მსმენელებთან სასწავლო პროცესში მასთან ერთად ჩართული იქნება მეორე განმახორციელებელი პირი, რომელიც თარჯიმნის ფუნქციასაც შეასრულებს.

პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში, თინა იოსებიძის ქ №57-ში და საბჭოს მიერ განსაზღვრული მსმენელთა რაოდენობაა - 20. ორგანიზაციას სურს პროგრამაზე მიიღოს დამატებით 60 მსმენელი (ჯამში პროგრამაზე 80 მსმენელი). ორგანიზაციას თეორიული სწავლებისთვის გამოყოფილი აქვს დიდი დარბაზი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მოწყობილობებით და სავსებით შესაძლებელია 80 მსმენელისთვის თეორიული სწავლება სრულყოფილად განხორციელდეს ადგილზე, თუმცა ორგანიზაცია გეგმავს მსმენელთა მიღებას ქუთაისიდან, ბათუმიდან, თელავიდან და რუსთავიდან და თეორიული სწავლების დისტანციურად განხორციელებას.

რაც შეეხება პრაქტიკის კომპონენტს, თბილისში არსებულ მისამართზე გამოიყო დამატებითი ფართი და მოეწყო კოსმეტოლოგიური კაბინეტი, რომელიც სრულად აღჭურვილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად (განთავსებულია 2 კოსმეტიკური სავარძელი, სკამი, სტერილიზატორი, შესაბამისი აპარატები და ა.შ), შესაბამისად ამ მისამართზე დამატებით 20 მსმენელის მიღება (ჯამში 40 მსმენელი) შესაძლებელია.

რაც შეეხება დანარჩენ ქალაქებში პრაქტიკის განხორციელებას, ორგანიზაციამ ცენტრში წარმოადგინა 4 პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება:

ქ. ქუთაისი - სამედიცინო ცენტრი „აილანი“ -10 მსმენელი

ქ. ბათუმი - შპს „ლაზერ მედი კოსმეტოლოგია“ -10 მსმენელი

ქ. თელავი - ინდ მეწარმე „ნინო შაშურაშვილის სტომატოლოგიური და ესთეტიური მედიცინის ცენტრი“ -10 მსმენელი

ქ. რუსთავი - შპს „სეპალს ცენტრი“ -10 მსმენელი

ვიზიტის დროს დამატებით წარმოდგენილ იქნა ქ. თელავში არსებული მეორე პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება - ინდ მეწარმე „ნინო ჭავჭავანიძე“ - 10 მსმენელი. აღნიშნული პარტნიორი ორგანიზაცია განიხილება ინდ მეწარმე „ნინო შაშურაშვილის სტომატოლოგიური და ესთეტიური მედიცინის ცენტრის“ შემცვლელ ობიექტად საჭიროების შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ დარგის ექსპერტ ანა მუშკუდიანს მიმართა ხომ არ სურდა რამის დამატება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაზეც მან განაცხადა, რომ ლანა გაჩეჩილაძემ ამომწურავად ისაუბრა თავის პრეზენტაციაში ყველა ქვესტანდარტთან მიმართებაში და ვერაფერს დაამატებდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, მას აინტერესებდა თუ როგორ წარმოედგინათ მათ მენეჯმენტი, როგორ მიყვებოდნენ ამ პროცესს, რადგან როგორც გამოიკვეთა, მათ ფართივც ჰქონდათ დამატებული. მან დასძინა, რომ მისი ინფორმაციით მსმენელები პრაქტიკულ კომპონენტს რეგიონებში გაივლიდნენ და თბილისში ჩამოსვლა მხოლოდ თეორიულ კომპონენტთან დაკავშირებით მოუწევდათ.

ასევე მან აღნიშნა, რომ ორი კურსდამთავრებული დაიმატეს განმახორციელებლებად პროგრამაზე მაღალი მოთხოვნის გამო. მან დასძინა, რომ გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მიზნით კერძო სექტორთან გადაწყვიტეს თანამშრომლობა. ისინი თითოეულ ლოკაციაზე ჩავიდნენ, დაათვალიერეს მათი რესურსები და გაარკვიეს ვინ ასწავლიდა კოსმეტოლოგიას. აღნიშნული პირები ჩამოიყვანეს თბილისში, ჩაუტარეს ტრენინგი და გადაამზადეს სწავლებისთვის საჭირო საკითხებში. საერთო ჯამში თანამშრომლობა საკმაოდ ეფექტიანად წარიმართა. ამის შემდეგ დაწესებულების წარმომადგენელია ისაუბრა პროგრამის მიმდინარეობის პროცესზე. აღნიშნა, რომ თეორიულ ნაწილს 30 საათი ეთმობოდა. გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით იგეგმება რომ თეორიული ნაწილი

ონლაინ წარიმართოს. პრაქტიკული ნაწილს რეგიონებში მომზადებული პირები წარუძღვებიან. ამ პროცესის მიმდინარეობის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლები ჩავლენ და შეამოწმებენ სასწავლო პროცესს. საერთო ჯამში, ხარისხის კონტროლი მუდმივად იქნება ვიდეო კამერების გამოყენებით არსებული პრობლემების იდენტიფიცირების და გაუმჯობესების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდათ თუ არა საბჭოს წევრებს რაიმე დამაზუსტებელი შეკითხვები. კომენტარი გააკეთა ნიკოლოზ მესხიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ინფორმირებულობის სისტემა, რომ მსმენელს მოლოდინი ჰქონდეს სწავლების ფორმატის შესახებ, ასახული ექნებათ შესაბამის დოკუმენტაციაში.

აღნიშნულის შესახებ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ინფორმაცია ჯერ დამსაქმებლებს მიეწოდათ და მერე უშუალოდ იმათ, ვინც გაუძღვება მეცადინეობებს. როგორც ჩანს კომუნიკაციის პრობლემას ჰქონდა ადგილი, ამიტომ სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ როცა განაცხადი გაკეთდება ონლაინ რეგისტრაციის დროს, თუ ექნებოდათ ინფორმაცია აპლიკანტებს ამის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ დაამატა, რომ მიღებული ინფორმაციიდან ჩანდა რომ თბილისში მიიღებდნენ 20 მსმენელს, ხოლო დანარჩენი რეგიონებიდან აპლიკანტებს უნდა დაეფიქსირებინათ თავიანთი ადგილმდებარეობა, ანუ არ მოუწევდათ აპლიკანტებს სიარული. სხდომის თავმჯდომარემ დასძინა, რომ აღნიშნული საკითხი კარგად იქნებოდა დასაორგანიზებელი.

საბოლოოდ გაირკვა, რომ აღნიშნული პროგრამა ცალ-ცალკე ცხადდება თითოეული რეგიონისთვის. როგორც პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, ინფორმაციის გავრცელების კუთხით, ინფორმაციის დაინტერესებულ პირებამდე მიტანაზე თავად ორგანიზაცია იზრუნებდა. შერჩევის და რეგისტრაციის ეტაპზე ის პარტნიორი ორგანიზაცია იქნება დაინტერესებული მხარე და ის გაავრცელებს ინფორმაციას რეგიონულ ჭრილში და შესაბამისად უფრო მეტი დარეგისტრირდება რეგიონიდან. ამასთან, ორგანიზაციას აქვს აქტიური სოციალური ფეისბუქ გვერდი, სადაც არის კურსდამთავრებულთა ჩანაწერები. შესაბამისად მისი რწმენით ინფორმაციის გავრცელება სწორად მოხდება.

სხდომის თავმჯდომარემ ოდესელი კოლეგა ახსენა, რომელიც დერმატოლოგია და აღნიშნულ პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა. იგი მოკლე რეპლიკით შემოიფარგლა და მადლობა გადაუხადა დამსწრეებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრი ლეპოტასთვის „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრ ლეპოტას (ს/კ: 405426436) დანართით განსაზღვრულ პროფესიული მომზადების პროგრამაზე - ესთეტიკური კოსმეტოლოგია /01099

გაეზარდოს მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 80-ით (დანართი 2).

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მცირე მასშტაბიანი ბიომასის ბოილერების და ღუმელების მონტაჟი)“ /01350/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხის წარდგენამდე სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განახლებადი ენერჯის მიმართულებით ორი პროგრამა 11 მაისის საბჭოზე იქნა განხილული. აღნიშნული საკითხი ფაქტობრივად წინა განხილვების გაგრძელებას წარმოადგენდა, იმ განსხვავებით რომ აქ სხვადასხვა აღჭურვილობით მონტაჟზეა საუბარი. საკითხი წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა ზაალ ხელაძემ. მან დასაწყისში აღნიშნა, რომ ეკონომიკის სამინისტროს ჩართულობით მომზადდა და დამტკიცდა (ბრძანება №698800, 12.07.2021) ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მემონტაჟის პროფესიული გადამზადების პროგრამისთვის განსაზღვრული მინიმალური სარეკომენდაციო მოთხოვნები წარმოდგენილი ოთხივე პროგრამისთვის. პროფესიული გადამზადების პროგრამებიდან ორი პროგრამა განხილულ იქნა 11 მაისის საბჭოზე, ორიც კი ამ დღის განხილვაზე იყო წარმოდგენილი. შინაარსობრივი განხილვა ფაქტობრივად ერთი-ერთში ედრებოდა მინიმალურ სარეკომენდაციო მოთხოვნებს, ამიტომ არ იყო რთული იმის დადასტურება რომ პროგრამა მისაღებია. მან დასძინა, რომ, რომ აქედან გამომდინარე მხოლოდ საკვანძო საკითხებზე შეჩერდებოდა. მან მოკლედ ჩამოაყალიბა პროგრამის მიზანი და სპეციფიკა და გადავიდა დაფიქსირებული ხარვეზების განხილვაზე.

ქვესტანდარტი 1.10 - მსმენელთა შეფასების წესის მიხედვით სწავლის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში მსმენელს შეუძლია განმეორებით გავიდეს განმსაზღვრელ შეფასებაზე, მსმენელს განმეორებითი შეფასების უფლება აქვს ერთჯერადად, შეფასების მიღებიდან 5 დღის ვადაში. მსმენელს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება. გასაჩივრების შემდგომი ეტაპები საერთო ჯამში აღემატება 5 დღეს, თუმცა ამავდროულად პირს შეფასების მიღებიდან მხოლოდ 5 დღის ვადა აქვს განმეორებითი შეფასებისთვის, ამასთანავე, დაწესებულებასთან გასაუბრებისას აღინიშნა და ასევე აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროგრამაში მითითებულია, რომ ყველა სწავლის შედეგი ფასდება ბოლო კვირას და შეფასების მეთოდებად დაფიქსირებულია ტესტი და/ან ზეპირი გამოკითხვა და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, აღნიშნული ჩანაწერები არ შეესაბამება ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ პროგრამას, ვინაიდან პროგრამაში არ ჩანს თუ რომელ კვირაშია დაგეგმილი განმავითარებელი ან/და განმსაზღვრელი შეფასება, ამდენად ვერ დგინდება შეფასების მეთოდი რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მსმენელის შეფასების სისტემა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

ქვესტანდარტი 2.2 - ვინაიდან წარმოდგენილი ვერ იქნა კომბინიზონები და ჩაფხუტები - აღჭურვილობის ნაწილი, რომელიც გადაეცემა მსმენელიდან მომდევნო ჯგუფის მსმენელს და

უსაფრთხოების დაცვისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს - აღნიშნული გარემოება დაფიქსირდა ხარვეზად.

ვიზიტის დროს გაცემულ იქნა რამდენიმე რეკომენდაცია

ქვესტანდარტი 1.4 - ელექტრონული სისტემით წარმოდგენილ პროგრამაში დაფიქსირებული დაშვების წინაპირობები განსხვავდება პროგრამის იმ ვერსიისგან, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 7 ოქტომბრის №01-05-04/149 დადგენილებით. რეკომენდირებულია, დაზუსტებულად და ერთგვაროვნად მიეთითოს დაშვების წინაპირობები პროგრამის დოკუმენტში.

ქვესტანდარტი 1.10 - რეკომენდირებულია ლოგიკური/გონივრული ვადა მიეცეს პირს, როგორც შეფასების აპელაციისთვის, ასევე განმეორებითი შეფასებისთვის. რეკომენდირებულია, ელექტრონულ სისტემაში პროგრამაში მიეთითოს როდის არის გათვალისწინებული განმსაზღვრელი შეფასება და მიეთითოს შესაბამისი შეფასების მეთოდები.

შემდეგ ლანა გაჩეჩილაძე პრეზენტაციაში შეეხო სხვა ქვესტანდარტებსაც და აღნიშნა, რომ ხარვეზები არ დაფიქსირებულ და არც რეკომენდაციები არ გაცემულა დანარჩენ ქვესტანდარტებთან მიმართებაში. პრეზენტაციის ბოლოს წარმოადგინა დაწესებულების სასწავლო გარემოების ფოტოკოლაჟი.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მცირე მასშტაბიანი ბიომასის ბიოლერების და ღუმელების მონტაჟი)“ /01350/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ: 211349192) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მცირე მასშტაბიანი ბიომასის ბიოლერების და ღუმელების მონტაჟი) /01350/ (**დანართი 3**).

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (ზედაპირული გეოთერმული და თბური ტუმბოების სისტემების მონტაჟი)“ /01344/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს,

იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

მეხუთე საკითიც ეხებოდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროფესიული გადამზადების პროგრამას.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამის შესაფასებლად კვლავ თავად და ზაალ ხელაძე იმყოფებოდნენ. მან აღნიშნა, რომ ამ პროგრამასთან მიმართებაში ანალოგიური ხარვეზები იქნა დაფიქსირებული და ანალოგიური რეკომენდაციები იქნა გაცემული. მან დასძინა, რომ ფაქტობრივად ეს პროგრამები იდენტურ სასწავლო გარემოებებს იყენებს, ვინაიდან ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ამის შემდეგ მან საბჭოს წევრებს წარუდგინა სასწავლო გარემოების ფოტო მასალა. აქვე აღნიშნა, რომ სხვა აღჭურვილობებზე წარმოდგენილი იყო ინვოისები ოთხივე პროგრამის შემთხვევაში, რისი ხელახალი შესყიდვა უნდა მოხდეს. სასწავლო გარემოები საკმაოდ შთამბეჭდავადაა მოწყობილი, მაგრამ გარკვეული მხარეების განახლებას აპირებენ, რაც ინვოისების სახით წარმოადგინეს.

ლანა გაჩეჩილაძემ დასძინა, რომ დარგის ექსპერტებს კითხვის ნიშნები არ ქონიათ რესურსებთან მიმართებაში.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა წინა საბჭოზე განმარტეს ყველა დაფიქსირებული ხარვეზის მიზეზები. ხარვეზების გამოსწორებასთან დაკავშირებით მოხდა შეთანხმება და წამოყენებული არგუმენტები საბჭოსთვის მისაღები აღმოჩნდა, ამიტომ დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ აღნიშნა, რომ ამ პროგრამებთან დაკავშირებული საკითხები წინა სხდომისას განხილული ორი პროგრამის იდენტური იყო, ამიტომ კენჭისყრისას შეეძლოთ ანალოგიურად ეხელმძღვანელათ.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს პროგრამები მოამზადებდა ლიცენზირებულ სპეციალისტებს. სხდომის თავმჯდომარემ დიდი იმედი გამოთქვა კიდევ ერთხელ, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას უზრუნველყოფდა, რათა პროგრამის ხარისხიც გაუმჯობესებულიყო. დაწესებულების წარმომადგენელმა თამარ აფციაურმა მადლობა გადაუხადა საბჭოს და ცენტრს თანამშრომლობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის „ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (ზედაპირული გეოთერმული და თბური ტუმბოების სისტემების მონტაჟი)“ /01344/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ -

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ: 211349192) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მცირე მასშტაბიანი ბიომასის ბოილერების და ღუმელების მონტაჟი) /01350/ (დანართი 4).

6. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის ქ. თბილისში „ფეხბურთის ინსტრუქტორი“ /01328/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი სხდომაზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა ვასილ ლიპარტელიანმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 30 მარტის №32791 (ვიზიტის თარიღის ცვლილება, 2022 წლის 01 აპრილის ბრძანება №341455) ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაია აბდალაძემ და დარგის ექსპერტმა ვასილ ლიპარტელიანმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ფეხბურთის ინსტრუქტორის“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2022 წლის 12 აპრილს განახორციელეს ვიზიტი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში. შედგა კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

თავის პრეზენტაციაში ლანა გაჩეჩილაძე შეეხო ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს:

ქვესტანდარტი 1.1 - შემუშავდეს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კითხვარი, რომელიც შეივსება სწავლების დაწყების წინ და სწავლების დასრულების შემდეგ, რათა მოხდეს პროგრამაში ჩართული პირთა ცოდნის დინამიკის შეფასება;

ქვესტანდარტი 1.2 - რეკომენდირებულია პროგრამაში ჩანდეს, რომ ამ პროგრამით მომზადებული პირი იქნება ფეხბურთის მწვრთნელის დამხმარე და იმ საკითხებში იქნება გარკვეული, რაც სწავლის შედეგებითაა წარმოდგენილი, თუმცა გარკვეულ სიღრმემდე იქნება საკითხი გაცნობიერებული, არა მწვრთნელისთვის გათვალისწინებულ დონეზე. ასევე, დასაქმების თვალსაზრისით, ინსტრუქტორად დასაქმებული პირი იქნება მწვრთნელის დამხმარე პირი და მას ვერ იქნება მწვრთნელად დასაქმების პრეტენზია. ასევე, პროგრამაში დაზუსტდეს „ფეხბურთის ინსტრუქტორის“ კონკრეტული ფუნქცია-მოვალეობები საშეჯიბრო პროცესის დროს, რათა გამოიკვეთოს მისი პოზიცია, როგორც მთავარი მწვრთნელის დამხმარის ჭრილში და არა მთავარი მწვრთნელის პოზიცია.

ქვესტანდარტი 1.4 - რეკომენდირებულია, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე და დაშვების წინაპირობაში მიეთითოს სრული ზოგადი განათლება.

ქვესტანდარტი 1.8 - თეორიული სწავლების პროცესში გამოყენებული იყოს ჯგუფური სამუშაოების შესრულების კომპონენტი, ასევე ვიზუალიზაციის სხვადასხვა საშუალებები.

ქვესტანდარტი 2.2 - თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილი აუდიტორიების ნაწილი აღიჭურვოს პროექტორებით, რათა მოხდეს მასალისა და მოდულის ვიზუალიზაცია.

ქვესტანდარტი 3.2 - მოხდეს იურიდიული პირის ოფიციალური ვებ-გვერდის მოდიფიკაცია, რათა გაიზარდოს დაინტერესებული მხარისთვის ყველა საჭირო და აუცილებელი მასალის ხელმისაწვდომობა.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ „ფეხბურთის ინსტრუქტორის“ შინაარსობრივად ანალოგიურ პროფესიული მომზადების პროგრამაზე განხორციელების უფლება დაწესებულებას მოპოვებული აქვს ქ. ქუთაისში, სურს თბილისში განახორციელოს.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ ახორციელებს უკვე დაწესებულება ქუთაისის ლოკაციაზე ამ პროგრამას, რაზეც ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ქუთაისში დაფინანსების პროცესები შეფერხდა, სწავლა იქაც არ დაწყებულა.

ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ გადავადების საფუძველი წინა შემთხვევაში იყო აღჭურვილობის საკითხი, დასძინა, რომ დასკვნაში არ ყოფილა უარყოფითი შეფასება, მაგრამ ფოტო-მასალის გაცნობისას საბჭო არ დაკმაყოფილდა ინფრასტრუქტურის ვიზუალურით და შინაარსით, რაც იმ ლოკაციაზე ჰქონდა დაწესებულებას. თუმცა ყურადღება გამახვილდა ინსტრუქტორის თემაზე, კერძოდ: რას წარმოადგენს ინსტრუქტორი მწვრთნელთან მიმართებაში, რამდენად არსებობს დასაქმების შესაძლებლობა ასეთი კურსდამთავრებულებისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით წინა საბჭოზე იმსჯელეს საბჭოს წევრებმა. ქალბატონმა ნანიმ დაამატა, რომ იგივე პროგრამა სხვა ლოკაციაზე იყო ამჯერად წარმოდგენილი, ამდენად დაწესებულებამ იცის რა პრობლემები ჰქონდა დაფინანსების მოპოვების პროცესში.

შემდეგ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს ვასილ ლიპარტელიანს. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნდა იყვნენ ისეთი პირები, ვინც მწვრთნელს დაეხმარება. ამის საჭიროება რეალურად დგას. რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პროგრამის მსმენელებს მეცადინეობა ერთ-ერთ საუკეთესო ბაზაზე მოუწევთ. მნიშვნელოვანია ისიც რომ ამ პროგრამაში საკმაოდ კვალიფიკაციური კადრები არიან ჩართულნი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დარგის ექსპერტის თქმით ის ადამიანები ვინც უნდა ჩაერთოს პროგრამის განხორციელების პროცესში, დიდი ხანია მუშაობენ სისტემაში და შესაბამისად შეუძლიათ სწავლება. მან ყურადღება გაამახვილა სასწავლო რესურსებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება ხელმძღვანელობს თანამედროვე ლიტერატურით, რომელთა ნაწილი თარგმნილია და ჰენდაუთებიც არის გაკეთებული. განმახორციელებელი პირები ეცნობიან უცხოურ მასალას და აწვდიან მსმენელებს. როგორც მან აღნიშნა, თავად ხშირად ესწრება პრაქტიკულ მეცადინეობებს და დაადასტურა, რომ ყველა სტრატეგიული მიდგომა დანერგილი აქვთ მოედანზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის ქ. თბილისში „ფეხბურთის ინსტრუქტორი“ /01328/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ფეხბურთის ინსტრუქტორი/01328/ ქ. თბილისში (დანართი 5).

ვინაიდან მეშვიდე და მერვე საკითხი ეხებოდა ერთიდაიგივე პროგრამას ორ ლოკაციაზე, ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში, ლანა გაჩეჩილაძემ წარმოადგინა ერთად, ვინაიდან განსხვავება ეხებოდა მხოლოდ განმარტებულ პირებს და მატერიალურ რესურსს.

7. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის ქ. თბილისში „თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი“ /01327/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

8. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის ქ. ქუთაისში „თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი“ /01329/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს.

საკითხები საბჭოზე წარადგინეს ლანა გაჩეჩილაძემ და ედიშერ მაჩაიძემ. ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 7 აპრილის №364057 ბრძანების ასევე, 2022 წლის 1 აპრილის №341455 ბრძანების (ცვლილება ბრძანებაში) საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაია აბდალაძემ და დარგის ექსპერტმა ედიშერ მაჩაიძემ შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორის“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2022 წლის 13 აპრილს განახორციელეს ვიზიტი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში ქ. თბილისში. შედგა კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრება. ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

ასევე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 10 აპრილის №369579 ბრძანების (ცვლილება ბრძანებაში № 373091 11.04.2022) საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა ედიშერ მაჩაიძემ შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორის“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2022 წლის 15 აპრილს განახორციელეს ვიზიტი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში ქ. ქუთაისში. შედგა კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრება. ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი.

დაწესებულებაში ქ. თბილისში ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა, გაიცა ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა 1.4 ქვესტანდარტს.

პრეზენტაციაში ლანა გაჩეჩილაძე შეეხო ყველა ქვესტანდარტს, არც ერთი ქვესტანდარტი არ არის დარღვეული, შემდეგ მან ყურადღება გაამახვილა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების საკითხზე და დასძინა, რომ პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება

ქვესტანდარტი 1.4 - რეკომენდირებულია, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე და დაშვების წინაპირობაში მიეთითოს სრული ზოგადი განათლება.

ქ. ქუთაისის ლოკაციაზე გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

ქვესტანდარტი 1.2 - ელექტრონულ სისტემაში პროგრამის დასახელების ბოლოში ტექნიკურად დარჩენილია ჩანაწერი „(ქუთაისი)“, რეკომენდირებულია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

ქვესტანდარტი 1.4 - რეკომენდირებულია, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე და დაშვების წინაპირობაში მიეთითოს სრული ზოგადი განათლება.

პროგრამაში გაწერილია დაშვების წინაპირობა - ასაკი: 18 წელი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებული არაა წინარე განათლება. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ ტექნიკურად გამორჩენილია პროგრამაში, მითითებული უნდა იყოს დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ასევე განსაზღვრულია კონკურსი - სპორტული ტური, სპორტული ტური არჩეულ სპორტის სახეობაში ფასდება 75 ქულიანი სისტემით; მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 20 ქულა.

დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა „მისაღები გამოცდების სპორტული ტურის დებულება“, რომელიც დამტკიცებულია“ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 23 დეკემბრის № 03-16 ბრძანებით. დებულება არეგულირებს კოლეჯის სპორტული მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდების სპორტული ტურის წესს, პირობებსა და ორგანიზების საკითხებს.

ლანა გაჩეჩილაძემ ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ქ. თბილისში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „დევილაქსთან“, რომელიც „თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორის“ ფარგლებში კოლეჯის მსმენელებისთვის პრაქტიკული კომპონენტის ჩატარებისთვის გამოყოფს საჭიდაო დარბაზს, სათანადო ინფრასტრუქტურასთან ერთად. შპს „დევილაქსს“ შეუძლია ერთდროულად მიიღოს 10 მსმენელი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №134. წარმოდგენილი ხელშეკრულება ძალაშია 2027 წლამდე, ხოლო ქ. ქუთაისში პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება ქუთაისის ა(ა)იპ მძლეოსნობის „მანეჟთან“, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული მომზადების პროგრამის „თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორის“ ფარგლებში კოლეჯის მსმენელებისთვის პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას, რისთვისაც გამოყოფილი აქვს სათანადო ინფრასტრუქტურა. ვიზიტის დროს მოხდა დარბაზის დათვალიერება. კლუბი „მანეჟი“ მზადყოფნას გამოთქვამს თითო ჯერზე მიიღოს 12-12 პროფესიული მსმენელი შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №100. ხელშეკრულება ძალაშია 2026 წლამდე.

შემდეგ ლანა გაჩეჩილაძე შეეხო მატერიალური რესურსის საკითხს, მან აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამა - „თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი“ ხორციელდება სპორტის კოლეჯის ბაზაზე თბილისში ორ მისამართზე. თეორიული მეცადინეობების ჩასატარებლად გამოყოფილია ერთი აუდიტორია, A გარემო აღჭურვილია თეორიული მეცადინეობის წარმართვისთვის საჭირო ინვენტარითა და მატერიალური რესურსით. გამოყოფილია განმახორციელებელი პირის სამუშაო მაგიდა და სკამი, მსმენელის სამუშაო ადგილი (მერხები და სკამები); დაფა, კომპიუტერი, პროექტორი. C გარემო, რომელიც მდებარეობს პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის №134, „დევილაქსის“ სპორტული კომპლექსი, მომზადებულია და აღჭურვილია თავისუფალი ჭიდაობისთვის აუცილებელი ინვენტარით.

ხოლო ქ. ქუთაისში პროფესიული მომზადების პროგრამა ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე ქუთაისში ორ მისამართზე. თეორიული მეცადინეობების ჩასატარებლად გამოყოფილია ერთი აუდიტორია (აუდ. № 315; ადგილების რაოდენობა 20). A გარემო აღჭურვილია თეორიული მეცადინეობის წარმართვისთვის საჭირო ინვენტარითა და მატერიალური რესურსით. გამოყოფილია მასწავლებლის სამუშაო მაგიდა და სკამი, მსმენელის სამუშაო ადგილი (მერხები და სკამები); დაფა, კომპიუტერი, პროექტორი; C გარემო მდებარეობს მისამართზე, თამარ მეფის ქ. №100, ასევე არის აღჭურვილი თავისუფალი ჭიდაობისთვის აუცილებელი

ინვენტარით: სპეციალიზირებულ დარბაზში არის ტატამი და საჭიდაო ლეიბები, სხადასხვა სახის სპორტული ინვენტარი, ძალისმიერი ვარჯიშების ჩატარებისთვის აუცილებელი ხელსაწყოები.

ამგვარად, დაწესებულებას კვირაში 5 დღის დატვირთვის პირობებში, A და C სასწავლო გარემო აძლევს ერთ ჯერზე 10 მსმენელის მიღების საშუალებას, ცვლების გათვალისწინებით 20 მსმენელის მიღების საშუალებას და პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ კომენტარი გააკეთა დარგის ექსპერტმა ედუარდ მაჩაიძემ. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ ერთი კომენტარის დამატება სურდა. მან დააკონკრეტა კითხვა, ხომ არ შეცვლიდა თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი მწვრთნელის პოზიციას. მან დასძინა, რომ ყველა საკითხს, მათ შორის წვრთნასაც უნდა მომზადება. აუდიტორიასაც, მსმენელსაც, პროგრამის განმახორციელებელ პირსაც სჭირდება მომზადება. შესაბამისად, ეს ზუსტად ის შუალედური რგოლი იქნება, რომელიც საჭიროა ამ სფეროში.

მან ასევე განმარტა, რომ 80 წლიანი ისტორიის კოლეჯს აქვს სტუდენტების/მსმენელების მიღების, აღზრდის და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების დიდი ტრადიცია. აღსანიშნავია, რომ დაწყებული გივი კარტოზია და ვახტანგ ბალავაძედან დაწყებული ყველამ მაშინდელი ტექნიკუმი დაამთავრა. იგი დარწმუნებულია, რომ კოლეჯი (მიუხედავად იმისა რომ ინსტრუქტორისა და მწვრთნელის პოზიციას განასხვავებს) აუცილებლად კარგად შეასწავლის მწვრთნელის პოზიციასაც, რათა ამ ინსტრუქტორმა შესაბამისად მოუმზადოს მსმენელი.

დარგის ექსპერტის შეფასებით გარემო რომელიც აქვს დაწესებულებას თბილისსა და ქუთაისში შეესაბამება არსებული სტანდარტის მოთხოვნებს. გარემოს სტანდარტები სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა მწვრთნელისა და ინსტრუქტორის პოზიციების განსხვავებასთან დაკავშირებით. კერძოდ, იყო თუ არა საერთაშორისო სტანდარტები მწვრთნელის და ინსტრუქტორის ფუნქცია-მოვალეობების თაობაზე. მან დასძინა, რომ ინსტრუქტორი არის მწვრთნელის დამხმარე, და მოიყვანა პროფესორისა და პროფესორის ასისტენტის მაგალითი. ინსტრუქტორი არის პროფესორის ასისტენტის როლში. მწვრთნელს კი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სჭირდება უმაღლესი განათლება.

საბჭოს წევრი ნათია კვიციანი დაინტერესდა, არის თუ არა მწვრთნელი, იქ სადაც ეს პირები მომზადდება. დარგის ექსპერტმა დააზუსტა, რომ ინსტრუქტორი ცალკე კი არ ამზადებს მსმენელებს, არამედ მუშაობს მწვრთნელთან ერთად.

საბჭოს წევრი გიორგი გამყრელიძე დარგის ექსპერტს ჩაეკითხა პროფესორის ასისტენტის თაობაზე, პირი, რომელსაც აქვს აკადემიური განათლება და არ იწყებს ნოლიდან, ხოლო ეს კოორდინატორი ფაქტობრივად ნოლიდან იწყებს. მნიშვნელოვანია, რომ ის ადამიანები აღვკურვოთ გარკვეული ღირებულებებითი ელემენტებით, მაგალითად, ვისაც ცოდნა არ აქვს - გაიღრმავოს. მისთვის კოორდინატორის ამ პროგრამით მომზადება ბუნდობანია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა ნინო მაგანიამ. მან აღნიშნა, რომ გარკვეული პრობლემა ჰქონდათ პროფესიული უნარების სააგენტოსთან, რამდენიმე პროგრამასთან დაკავშირებით, რომლებმაც მოიპოვეს განხორციელების უფლება, კიდევ ერთხელ გაიარეს პროფესიული უნარების სააგენტოსთან ეს საკითხი. მათთან კომუნიკაციით განისაზღვრა, თუ ვინ არიან ეს ინსტრუქტორები, რას აკეთებენ და სად შეიძლება დასაქმდნენ. მისი თქმით მწვრთნელი და ინსტრუქტორი დაახლოებით იგივეა, რაც ექიმი და ექთანი. მან განასხვავა მწვრთნელისა და ინსტრუქტორის შესაძლებლობები.

დაწესებულების წარმომადგენელი გიორგი გამყრელიძის კითხვასაც გამოეხმაურა, მიღების და დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით. პროგრამაზე სწავლა შეუძლია ზოგადი განათლების

მქონე პირს, სპორტული ტურის ჩაბარების შემთხვევაში. მისი თქმით თუ დარგში არ ხარ ჩართული ბავშვობიდან, ვერ შეძლებს გახდეს ინსტრუქტორი. თავიდან ისინი პორტფოლიოსაც ითხოვდნენ, რაც მოგვიანებით ამოიღეს, იმ მიზეზით, რომ შეზღუდვა არ ყოფილიყო.

კენჭისყრის დაწყებამდე საბჭო გავიდა სათათბიროდ.

ამის შემდეგ ნიკოლოზ მესხიშვილმა კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს. მან აღნიშნა, რომ ასეთი პროგრამის შემუშავება ქართულმა რეალობამ განაპირობა. მან მოიძია ინფორმაცია, რომლის თანახმადაც არის ასეთი პირველი დონის პროგრამა: მწვრთნელის ასისტენტი. აღნიშნული არის დიდი ბრიტანეთის მაგალითი. მას აინტერესებდა, დარგის ექსპერტის შეხედულება, თუ როგორია უცხოური გამოცდილება. ქართული რეალობისთვის მორგებულ პროგრამას ვქმნით, თუ მართლა არის უცხოეთში ასეთი პრაქტიკა. მან დაამატა, რომ დიდ ბრიტანეთში 14 წლიდანაა პროგრამაზე სწავლა შესაძლებელი, რაც მისთვის გაუგებარია, და ამავდროულად რამდენად რეალურია.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ინგლისიდან მოწვეული ჰყავდათ სპეციალისტები, რომლებიც ფიზიკური აღზრდისა და კულტურის წარმომადგენლები იყვნენ.

საერთო ჯამში, ინსტრუქტორის პოზიცია მიახლოებულია მწვრთნელის პოზიციასთან, იმ ლოგიკით რომ მან უნდა იცოდეს რა სჭირდება მწვრთნელს.

ნინო მაგანამ აღნიშნა, რომ მათ სპორტული ინსტრუქტორის სტანდარტის სამუშაო ვერსია გამზადებულია და პროფესიული უნარების სააგენტოში აქვთ გაგზავნილი, სწორედ ანალიზის პროცესში მოიძიეს სხვადასხვა ქვეყნის ანალოგები, მაგალითად გერმანიის.

საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის ქ. თბილისში „თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი“ /01327/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი/01327/ ქ. თბილისში (**დანართი 6**).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის ქ. ქუთაისში „თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი“ /01329/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0


გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი/01329/ ქ. ქუთაისში (დანართი 7).

საბჭოს სხდომა დასრულდა 13:03 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზაქარეიშვილი მარიკა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი



დანართი

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|----------------|-------------------------------|------------------------|--------------------------------------|---------------------------------|---------------|-----------------------------|---------------------------------|
| 01153 | რეგიონალური ტურისტული მეგზური | პროფესიული გადამზადება | მეოთხე | 10 | ქართული | 30 | ქ. კასპი, აღმაშენებლის ქ. №168ვ |

დანართი

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|----------------|-------------------------|----------------------|--------------------------------------|---------------------------------|---------------|-----------------------------|-----------------------------------|
| 01099 | ესთეტიკური კოსმეტოლოგია | პროფესიული მომზადება | მესამე | 9 | ქართული | 80 | ქ. თბილისი, თინა იოსებიძის ქ. №57 |

დანართი

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|----------------|---|------------------------|--------------------------------------|---------------------------------|---------------|-----------------------------|------------------------------------|
| 01350 | ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მცირე მასშტაბიანი ბიომასის ბოილერების და ღუმელების მონტაჟი) | პროფესიული გადამზადება | მეოთხე | 5 | ქართული | 10 | ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №36 |

დანართი

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|----------------|--|------------------------|--------------------------------------|---------------------------------|---------------|-----------------------------|------------------------------------|
| 01344 | ენერჯის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (ზედაპირული გეოთერმული და თბური ტუმბოების სისტემების მონტაჟი) | პროფესიული გადამზადება | მეოთხე | 5 | ქართული | 10 | ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №36 |

დანართი

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|----------------|-----------------------|----------------------|--------------------------------------|---------------------------------|---------------|-----------------------------|----------------------------------|
| 01328 | ფეხბურთის ინსტრუქტორი | პროფესიული მომზადება | მეოთხე | 10 | ქართული | 40 | ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №55 |

დანართი

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|----------------|---------------------------------|----------------------|--------------------------------------|---------------------------------|---------------|-----------------------------|----------------------------------|
| 01327 | თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი | პროფესიული მომზადება | მეოთხე | 10 | ქართული | 20 | ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №55 |

დანართი

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|----------------|---------------------------------|----------------------|--------------------------------------|---------------------------------|---------------|-----------------------------|---------------------------------|
| 01329 | თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი | პროფესიული მომზადება | მეოთხე | 10 | ქართული | 20 | ქ. ქუთაისი, გაპონოვის ქ. №11 |